ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 13170/01
26/12/2019

13170-01-2-201912261142

შპს „გიოთე“-ს დირექტორს ბატონ გიორგი მექანარიშვილს

მისამართი: ქ. კასპი, სოფელი მეტეხი

ბატონო გიორგი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 17 დეკემბერს განცხადება (სამინისტროს რეგისტრაციით N 18453), რომელიც ეხება ქ. კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მეტეხში ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტს.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- საწარმოს წარმადობა, გამოყენებული ნედლეულისა და საწარმოო პროცესის შედეგად მიღებული პროდუქციის (ქვიშა და სხვადასხვა ფრაქციის ღორღი) წლიური ოდენობა;
- ტექნოლოგიური პროცესის აღწერა, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება სახიფათო ნარჩენები;
- წყალაღებისა და წყალჩაშვების წერტილების GPS კოორდინატები;
- ინფორმაცია საწარმოო გამოყენებული წყლის მართვის შესახებ;
- ხმაურის გამომწვევი წყაროების ჩამონათვალი, მათ მიერ გამოწვეული ხმაურის დონე (დბა) და გარემოზე შესაბამისი ზემოქმედება;
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შესახებ;
- საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საწარმოების შესახებ ინფორმაცია მანძილის მითითებით;
- ინფორმაცია საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

მინისტრის მოადგილე